გორისმუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 181

2022 წლის 17 ოქტომბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.31.488), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის (202178927) სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო 2022 წლის 01 სექტემბრის NSSA 4 22 00267714 წერილის შესაბამისად, ითხოვს ქალაქ გორში, ჭალის დასახლებაში, ჩუბინიშვილის ქ. მიმდებარედ 2800.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.31.488, სარგებლობაში გადაცემას, სადაც შემდგომში დაგეგმილია სოციალური მომსახურების სააგენტოს შიდა ქართლის სამხარეო ცენტრის შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ს/ნ 202178927) სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ გორში, ჭალის დასახლებაში, ჩუბინიშვილის ქ. მიმდებარედ 2800.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.31.488.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, გადასცეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს (202178927), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, ჭალის დასახლებაში, ჩუბინიშვილის ქ. მიმდებარედ 2800.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.31.488, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შიდა ქართლის სამხარეო ცენტრის შენობა-ნაგებობის მშენებლობის მიზნით.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**